# საინფორმაციო ცნობა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

11 მარტს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი მუშაობას განაგრძობდა. განიხილავდნენ მოხსენებებს დღის წესრიგის პირველ საკითხზე — სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ.

ვრცელი სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ.

პლენუმმა მიიღო დადგენილება, რომელიც მიმართულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულების უზრუნველყოფისაკენ.

**პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება, მოწვეულ იქნას საქართველოს კომუნისტური პარტიის მორიგი XXI ყრილობა 1961 წლის 27 სექტემბერს.**

**პლენუმის მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით მიიღეს მისალმება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტისადმი.**

პლენუმმა მუშაობა დაამთავრა.

## მსოფლიო მიღწევები რესპუბლიკურ შეჯიბრებაზე

სვერდლოვსკში რსფსრ-ს მოციგურეთა შეჯიბრებაზე საბჭოთა კავშირის და ევროპის ჩემპიონმა ვ. კოსიჩკინმა 10 ათასი მეტრი გაირბინა 16.31,2 წამში და დაამყარა მსოფლიო რეკორდი. ამ დისტანციაზე მეორე იყო საბჭოთა კავშირ-ნორვეგიის მატჩში გამარჯვებული რ. მერკულოვი, სამაგიეროდ ეს უკანასკნელი გახდა სპარტაკიადის ჩემპიონი, მოაგროვა რა მრავალჭიდში 186,543 ქულა. ესეც ახალი მსოფლიო მიღწევაა!

ვაჟებს არ ჩამორჩნენ ქალებიც. მსოფლიოს [illegible] ჩემპიონმა სვერდლოვსკელმა [illegible] 1.500 მეტრზე აჩვენა 2.27,1 წ. ასეთი მაღალი შედეგი ამ დისტანციაზე მსოფლიოში ჯერ არავის უჩვენებია.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 32 (1668) სამშაბათი, 14 მარტი, 1961 წ. გამოცემის მე-17 წელი. ფასი 3 კაპ.

დღეს, მოსკოვში, საბჭოთა კავშირის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში საზეიმოდ გაიხსნება მ. ტალისა და მ. ბოტვინიკის მატჩ-რევანში მსოფლიო ჩემპიონის სახელისათვის.

ჯერ კიდევ გასულ წელს, XIV საჭადრაკო ოლიმპიადის წინ საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციამ დაავალა საბჭოთა კავშირის საჭადრაკო ფედერაციას მსოფლიო პირველობაზე მატჩ-რევანშის ჩატარება. საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციამ დაამტკიცა მატჩ-რევანშის დებულება და ამ შეჯიბრების მსაჯთა კოლეგია შვედი გროსმაისტერის გ. შტალბერგისა და ინგლისელი ოსტატის ჰ. გოლომბეკის შემადგენლობით. მატჩ-რევანში ჩატარდება მოსკოვში ესტრადის სახელმწიფო თეატრის შენობაში, რომელშიც 1.500 მაყურებელი ეტევა.

მატჩ-რევანშში გათამაშდება 24 პარტია. ორთაბრძოლა შეწყდება მაშინ, როცა ერთ-ერთი მხარე მოაგროვებს 12,5 ან 13 ქულას. მ. ტალს მსოფლიო ჩემპიონის სახელის შენარჩუნებისათვის ყოფნის ორთაბრძოლის ყაიმით (12:12) დამთავრება, ხოლო მ. ბოტვინიკმა დაკარგული ტიტულის დასაბრუნებლად უნდა მოიგოს მატჩ-რევანში. კვირაში გათამაშდება სამი პარტია — სამშაბათს, ხუთშაბათსა და შაბათს; ოთხშაბათს, პარასკევსა და კვირას მოეწყობა წინა დღით გადადებული პარტიის დამთავრება. ორშაბათი დასვენების დღეა. მატჩ-რევანშის პერიოდში თვითეულ პრეტენდენტს შეუძლია სამჯერ იავადმყოფოს, აგრეთვე ავადმყოფობის გამო გააცდინოს ზედიზედ სამი პარტია. მეოთხე პარტიაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში იწერება წაგება.

გულშემატკივართათვის არაა ინტერესმოკლებული იცოდნენ, რომ საბჭოთა კავშირის საჭადრაკო ფედერაციის დადგენილებით მ. ტალისა და მ. ბოტვინიკის მატჩ-რევანში გადატანილი იყო აპრილის დამლევისათვის მ. ტალის ავადმყოფობის (გულის მოვლენებით) გამო. მაგრამ მსოფლიო ჩემპიონის დაჟინებული თხოვნით მატჩ-რევანში მ. ბოტვინიკთან დაიწყება თავის დროზე.

15 მარტს გაიმართება მატჩ-რევანშის პირველი პარტია.





## მ. ტალი მზადაა ბრძოლისათვის

ამას წინათ თბილისელი სტუდენტი თ. რუსეცკი რიგაში საწარმოო პრაქტიკაზე ყოფნის დროს, ჩვენი გაზეთის დავალებით ესტუმრა მსოფლიო ჩემპიონს მიხეილ ტალს და ესაუბრა მას. ქვემოდ ვაქვეყნებთ ამ საუბარს.

რიგა, გორკის ქუჩა № 34, ბინა 4. აქ ცხოვრობს მიხეილ ტალი — მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში.

მასპინძელმა გულღიად მიგვიღო როცა შეიტყო, თუ ვისი დავალებით და რისთვის შევაწუხეთ იგი. უპირველეს ყოვლისა ჩვენ გვაინტერესებდა საჭადრაკო „მეფის" შემოქმედებითი ლაბორატორია, სადაც ახალგაზრდა მსოფლიო ჩემპიონი ჭედდა თავის მრისხანე იარაღს ბოტვინიკთან მატჩ-რევანშისათვის.

— ჩემი ლაბორატორია მოძრავია, — იცინის ტალი, — კომბინაციებს ვადგენ ყველგან, მაგალითად, ჰოკეისტების მატჩზე. შეიძლება რაიმე არის საერთო ჭადრაკსა და ჰოკეის შორის, თუმცა ჭადრაკის ფიგურების ხმაური მათი გადაადგილებისას მხოლოდ მიახლოვებით მოგვაგონებენ ჰოკეის ჯოხების ხმაურს.

მ. ტალს ძალიან უყვარს ჰოკეი და ცდილობს არ გააცდინოს მატჩები, რასაც ყოველთვის ვერ ახერხებს.

— თუ შეიძლება გაგვიზიარეთ როგორ ემზადებოდით მატჩ-რევანშისათვის და როგორ გუნებაზე ხართ მატჩის წინ?

— ვთამაშობდი ჭადრაკს. ბევრს ვთამაშობდი. სტოკჰოლმში, პრაღაში, რიგის საჭადრაკო კლუბში, ა. კობლეცთან ერთად ვეწაფებოდი თეორიას. განწყობილება შესანიშნავი მაქვს: მიხეილ ბოტვინიკთან ჭადრაკის თამაში ჩემთვის დიდი სიამოვნებაა.

მცირე დუმილის შემდეგ მ. ტალმა დაუმატა:

— მე შევეცდები შევინარჩუნო მსოფლიო ჩემპიონობა. მაგრამ თუ გავხდი ექს-ჩემპიონი, ალბათ მაშინ ბევრი დრო მექნება და შევძლებ ოჯახით საქართველოში ჩამოსვლას, რასაც დიდი ხანია მთხოვს მეუღლე.

— რა კავშირია ხელოვნებასა და ჭადრაკს შორის?

— ეს თემა მუდმივი დავის საგანია ჩემსა და მეუღლეს შორის. სიდი უპირატესობას აძლევს ხელოვნებას, მე კი 64-უჯრიან დაფას. ჭადრაკში ხელოვნება და სპორტი ერთმანეთშია გადაჯაჭვული. საჭადრაკო პარტია — შემოქმედების პროდუქტია. მოკლედ, პარტია, რომელიც მთავრდება „გროსმაისტერული ყაიმით", მოგვაგონებს მუსიკალურ ნაწარმოებს, რომლის მოსმენა გწყინდება, ხოლო ელვისებური თამაში (ბლიცი) — თანამედროვე მუსიკაა, ენერგიისა და ნებისყოფის შენადუღები, რომელიც ემსახურება ერთ მიზანს — გამარჯვებას.

მ. ტალი ლაპარაკობს სწრაფად, საინტერესოდ და მიმზიდველად, ზოგჯერ ხელების დახმარებით, ამიტომ მასში არის რაღაც სამხრეთელის.

— როგორაა თქვენი მემკვიდრე, ისიც მოჭადრაკე ხომ არ იქნება?

ამ შეკითხვაზე გვიპასუხა მსოფლიო ჩემპიონის მეუღლემ სიდი ტალმა. მან გაგვიყვანა ბავშვის ოთახში, სადაც ეძინა პატარა გიორგის და გვიჩვენა იგი.

— არა, მე არ მინდა, რომ ესეც მოჭადრაკე იყოს. ჩვენ ერთიც გვეყოფა!

ჩვენი სტუმრობის დროც ამოიწურა.

— გადაეცით მოკითხვა საქართველოს ჭადრაკის მოყვარულებს. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავთან ვუსურვებ მათ ყოველგვარ სიკეთეს! — მეუბნება იგი გამოთხოვებისას.

• • •

**სურათზე:** ზევით — მსოფლიო ჩემპიონი მ. ტალი. ქვევით — მ. ბოტვინიკი.





## სტუმრების გამარჯვება

მოსკოვში დამთავრდა ძალოსანთა საერთაშორისო შეჯიბრება „მოსკოვის პრიზზე". სპორტის სასახლეში შეკრებილი მრავალრიცხოვანი მაყურებლის ინტერესს იწვევდა საშუალო წონის სპორტსმენების, მსოფლიოს ექსგზის ჩემპიონის ამერიკელ ტ. კონოსა და საბჭოთა ძალოსნის რ. პლიუკფელდერის ორთაბრძოლა. ამერიკელი ძალოსანი დაწინაურდა პირველსავე მოძრაობაში — აჰმევაში, სადაც აჩვენა შესანიშნავი შედეგი — 153 კგ. ეს შედეგი ახალი მსოფლიო რეკორდია, რომელიც აქამდე საბჭოთა სპორტსმენ ა. ქიტეცკის ეკუთვნოდა და უდრიდა 151 კგ-ს. რ. პლიუკფელდერი მეტოქეს ჩამორჩა 7,5 კილოგრამით. შემდეგი მოძრაობის შესრულებისას მან ტრავმა მიიღო და შეწყვიტა ბრძოლა. ტ. კონომ აიტაცა 137,5 კგ, აჰკრა 170 კგ და სამჭიდის ჯამში დააგროვა 460 კგ. ეს შედეგიც ახალი მსოფლიო რეკორდია, რომლის მფლობელი აქამდე იყო რ. პლიუკფელდერი — 457,5 კგ. ამ წონით კატეგორიაში მეორე ადგილი დაიკავა საბჭოთა სპორტსმენმა ვ. ლიახმა, რომელმაც დააგროვა 445 კილოგრამი.

ქვემძიმე წონაში ყველას აჯობა ოლიმპიურმა ჩემპიონმა პოლონელმა ი. პალინსკიმ, რომელმაც აკვრაში დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი — 186,5 კგ. მძიმე წონის ძალოსნებიდან გაიმარჯვა ამერიკელმა ჯ. ბრედფორდმა — 490 კგ.

• • •

**სურათზე:** საბჭოთა ძალოსნები ა. კურინოვი და ლ. ჟგუნი ფიცარნაზე.

ფოტო ე. დავთიანისა.

12 მარტს, ნორვეგიის ქალაქ ჰოლმენკოლენში დამთავრდა ტრადიციული ტურნირი სათხილამურო სპორტში „დედოფლის თასზე". ამ ღონისძიებებში, რომელშიც შედიოდა მხოლოდ ორი სახეობა — თანამედროვე ორჭიდი (ბიატლონი) და ტრამპლინიდან ხტომა, სხვა ქვეყნის სპორტსმენებთან ერთად მონაწილეობდნენ საბჭოთა სპორტსმენებიც.

## ორი პირველი ადგილი

დაძაბულად წარიმართა პირველობა ბიატლონში, სადაც უძლიერესთა შორის ხტარტი აიღო საბჭოთა სპორტსმენმა ნ. გუსაკოვმა. იგი თვითონვე დაწინაურდა, ბოლომდე შეინარჩუნა ლიდერობა, მიზანშიც ზუსტად ისროლა და პირველმა დაამთავრა დისტანცია. საზეიმო ვითარებაში ნ. გუსაკოვს გადაეცა „დედოფლის თასი".

დიდი ინტერესი გამოიწვია შეჯიბრებამ ტრამპლინიდან ხტომაში. აქ პირველ ადგილზე კვლავ საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი ნ. შამოვი გამოვიდა.



★

აფხაზეთში ზეიმით აღნიშნეს ამ ავტონომიური რესპუბლიკის სახელოვანი იუბილე — იქ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავი. აფხაზეთის ფიზკულტურელებმა და სპორტსმენებმა მრავალი ღონისძიება მიუძღვნეს ამ მნიშვნელოვან თარიღს. სურათებზე აღბეჭდილია ღონისძიებათა ამსახველი მომენტები.

★





ფოტო ვ. სემიონოვისა.

## სპორტული ქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ჭადრაკის ამბები

თბილისი. ხელოვნების მუშაკთა სახლთან არსებულმა საჭადრაკო წრემ მოაწყო ერთდროული თამაშის სეანსი სპორტის ოსტატ ნ. გაფრინდაშვილისა რევოლუციის ვეტერანებთან 14 დაფაზე. ოსტატმა მოიგო 12 პარტია ხოლო ორი — გიორგაძესა და მეგრელიძესთან ყაიმით დაამთავრა.

ი. თოდრია

* * *

**მახარაძის** ჩაის მრეწველობის ტექნიკუმის საჭადრაკო პირველობაში მონაწილეობდა 20 მოსწავლე.

ა. პაპიძემ და ნ. ლომინაძემ გაიყვეს I-II ადგილები. დამატებითი შეხვედრა მათ შორის მოიგო ნ. ლომინაძემ.

ს. ცინცაძე

* * *

**ამბროლაურის** რაიონის „სპარტაკის" საჭადრაკო პირველობაში I-II ადგილები გაიყვეს ქ. ლაშხმა და რ. მიქაუტაძემ. ჩემპიონის გამოსავლინებლად დამატებით მატჩში გაიმარჯვა რ. მიქაუტაძემ.

ა. კოზასიძე

## საქალაქო კონფერენცია

ამას წინათ ქუთაისში შედგა სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების მეორე საქალაქო კონფერენცია, რომელმაც მოისმინა სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების ქუთაისის საქალაქო კავშირის საბჭოს თავმჯდომარის ა. ჩოგოვაძის მოხსენება საანგარიშო პერიოდში ჩატარებული მუშაობის შესახებ. მომხსენებელი შეეხო წარმატებებს, აღნიშნა, რომ დიდი გადაჭარბებით იქნა განხორციელებული როგორც 1959 წლის, ისე 1960 წლის სპორტსმენ-თანრიგოსნების, მთ ნიშნოსნებისა და საზოგადოებრივი კადრების მომზადების გეგმები.

საანგარიშო პერიოდში მრავალი მასობრივი სპორტული ღონისძიება ჩატარდა ქუთაისში. მარტო 1960 წელს 125 საქალაქო სპორტულ ღონისძიებაში მონაწილეობდა 128 ათასზე მეტი ფიზკულტურელი. ხოლო საბჭოთა საქართველოს 40 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სპარტაკიადის პირველ, მეორე და მესამე ეტაპზე 40 ათასზე მეტი ფიზკულტურელი და სპორტსმენი. შემდეგ მომხსენებელი შეეხო საქალაქო სპორტკავშირის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს და დასახა გზები მისი გამოსწორებისათვის.

კამათში პირველი გამოვიდა ქუთაისის საავტომობილო ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივანი დ. მონიავა, რომელიც შეეხო ქარხანაში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გაშლის საკითხს, სპორტსაზოგადოება „განთიადის" საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე ვ. აფრიდონიძემ ილაპარაკა იმ ნაკლოვან მხარეებზე, რომლებიც სპორტსაზოგადოების საქალაქო საბჭოს და მის ორგანიზაციებს გააჩნიათ. ეს საზოგადოება აქ 30 ფიზკულტურულ კოლექტივს აერთიანებს, სადაც 14 ათასამდე ფიზკულტურელია. მათ შორის არიან მოწინავე, ორგანიზებულად განმტკიცებული კოლექტივები (საავტომობილო და ელექტრომექანიკური ქარხნების, აბრეშუმკომბინატის, ქალაქმშენსახპროექტის და სხვ.), მაგრამ არიან ისეთებიც, რომელთა მუშაობა ძალზე სუსტია (საკონდიტრო ფაბრიკის, საქსოვი ფაბრიკის, ღვინის ქარხნის და ა. შ.).

კამათში გამოვიდნენ აგრეთვე ს. თორლაძე (ახალგაზრდული სპორტული სკოლის დირექტორი), შ. ნაჭყებია („სპარტაკის" საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე), ა. ბურჯანიძე (კომკავშირის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მდივანი). კონფერენციის მუშაობა შეაჯამა საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვ. სამსონაძემ.

ლ. ფაჩუაშვილი

# თუ შევაჯამებთ ჩვენს მუშაობას...

გასულ წელს „განთიადის" ორგანიზაციებმა გარკვეული მუშაობა ჩაატარეს საქართველოს სახალხო მეურნეობის სისტემაში შემავალ წარმოება-დაწესებულებებში მასობრივ - ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის გასაშლელად. მართალია, „სპარტაკის" რეორგანიზაციის შედეგად „განთიადს" გამოაკლდა მრავალი კოლექტივი, მაგრამ, სამაგიეროდ ბოლო ხუთი თვის განმავლობაში შექმნილი იქნა 170 ახალი ფიზკულტურული კოლექტივი, რომელიც თავის რიგებში 25000-მდე წევრს ითვლის. ამასთან ფიზკულტურული კოლექტივების უმრავლესობამ ისე გააუმჯობესა მუშაობა, რომ იქ სპორტის ოსტატების მომზადება პრობლემას აღარ წარმოადგენს.

გასულ წელს მარტო ქუთაისის ავტოქარხნის კოლექტივმა 18 ოსტატი მოამზადა, თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის კოლექტივმა — სამი ოსტატი, ფეხსაცმლის 1-ლი ფაბრიკის კოლექტივმა — ერთი ოსტატი და ა. შ.

ამჟამად სპორტის 37 სახეობის სექციაში ჩაბმულია და სისტემატურად მეცადინეობს 89377 კაცი. საზოგადოების მიერ მარტო გასულ წელს ჩატარებულ შეჯიბრებებში და სპარტაკიადაში მონაწილეობა მიიღო 301600 კაცმა. მუშაობის ახალ საწყისებზე გადასვლამ განაპირობა ისიც, რომ შარშან პროფკავშირების საკავშირო სპარტაკიადაში, რომელიც როსტოვში ჩატარდა, ჩვენმა რესპუბლიკამ კომპლექსურ ჩათვლაში საერთო მე-6 ადგილი დაიკავა. სიმძიმეების აწევაში კიროვის სახელობის ქარხნის გუნდი 32 კოლექტივიდან მესამე ადგილზე გამოვიდა. „ისნის" ფიზკულტურული კოლექტივის ტანმოვარჯიშეთა გუნდი — მე-6 ადგილზე, ბათუმის ლუდის ქარხნის მოცურავეთა გუნდმა კი მეხუთე ადგილი დაიკავა.

ჩვენი საზოგადოების მოზარდ მოჭიდავეთა გუნდი საკავშირო პროფსაბჭოს 1960 წლის ჩემპიონი გახდა, წყალბურთელებმა (დაკომპლექტებულია თბილისის კიროვის სახელობის ქარხნის სპორტსმენებისაგან) საბჭოთა კავშირის ზონალურ შეჯიბრებაში პირველი ადგილი მოიპოვა და მონაწილეობა მიიღო საბჭოთა კავშირის უძლიერეს წყალბურთელთა გუნდის შეჯიბრებაში. აღნიშნულმა გუნდმა გასული წლის მიღწევების შედეგად მოიპოვა უფლება მიმდინარე წელს ითამაშოს „ბ" კლასის გუნდების საკავშირო პირველობაში. ფეხბურთში რესპუბლიკის პირველობის გათამაშების სამ ჯგუფში გასულ წელს მონაწილეობდა ჩვენი საზოგადოების 37 გუნდი, ხოლო ქუთაისის ავტოქარხნის გუნდმა — „ტორპედომ" საბჭოთა კავშირის პირველობის გათამაშებაში „ბ" კლასის ოსტატ ფეხბურთელთა შორის პირველი ადგილი დაიკავა.

კარგი მიღწევებით დაამთავრა გასული წელი წყალში მხტომელთა ნაკრებმა გუნდმა, რომელმაც არავის დაუთმო საქართველოს თასი. ქუთაისის „განთიადის" ალპინისტებმა, მონაწილეობდნენ რა სარეკორდო ტრავერსში, ზულმათისა და ზაალის მთაგრეხილებზე დაიპყრეს 13 მწვერვალი და ერთერთ მათგანს „განთიადის" სახელი უწოდეს. ამ ღონისძიების შედეგად ოთხმა ალპინისტმა პირველად შეასრულა საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატის ნორმა, მიენიჭათ ჩემპიონის წოდება და დაჯილდოებულ იქნენ ოქროს მედლებით.

განთიადელები წარმატებით გამოვიდნენ საიუბილეო სპარტაკიადებშიც. კიროვის ქარხნის სპორტული კლუბის გუნდებმა კალათბურთში (ქალთა და ვაჟთა), ველორბოლაში, წყალბურთში, ფრენბურთში, (ქალთა), ს რ ო ლ აში, სიმძიმეების აწევაში, წყალში ხტომასა და ხელბურთში (ქალთა და ვაჟთა) თბილისის კოლექტივებს შორის დაიკავეს რა პირველი ადგილები, უფლება მოიპოვეს მონაწილეობა მიიღონ რესპუბლიკური პირველობის ფინალში. ასევე მოიპოვეს რესპუბლიკის სპარტაკიადის ფინალში მონაწილეობის უფლება მაუდკამვოლის კომბინატის ფეხბურთელებმა, „ისნის" ფეხბურთის და ფრენბურთის გუნდებმა, ელმავალმშენებელი ქარხნის მაგიდის ჩოგბურთელებმა და ა. შ.

გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს და რესპუბლიკის სპარტაკიადის ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს აგრეთვე ქუთაისის ავტოქარხნელებმა და აბრეშუმის კომბინატის ფიზკულტურელებმა, აჭარისა და აფხაზეთის კოლექტივებმა, რუსთავის, თელავის, ზესტაფონის, ჭიათურის, ტყვარჩელის და სხვა რაიონულმა ორგანიზაციებმა.

ფიზკულტურული მუშაობის გაუმჯობესებისა და ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების 1960 წლის გეგმის ძირითადი მაჩვენებლების დროულად შესრულების საქმეში თავი ისახელეს „განთიადის" აჭარის, ქუთაისის, ზუგდიდის, ხაშურის, მახარაძის, ფოთის, თელავის, ზესტაფონის და სხვა რაიონულმა საბჭოებმა და განსაკუთრებით ისეთმა ფიზკულტურულმა კოლექტივებმა, როგორიცაა: თბილისის კიროვის სახ. ჩარხმშენებელი ქარხანა, ფეხსაცმელების 1-ლი ფაბრიკა, მაუდ-კამვოლისა და სარჩავ-სატრიკოტაჟო კომბინატები, ავჭალის შუშის ქარხანა და სხვა.

ახლა ჩვენს წინაშე დგას ამოცანა არა მარტო აღმოვფხვრათ ჩვენს მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები, არამედ გადაჭრით გარდავქმნათ ფიზკულტურული კოლექტივის მუშაობა. კიდევ უფრო გავზარდოთ ფიზკულტურასა და სპორტში მომეცადინეთა რიცხვი.

თანახმად საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებისა მიმდინარე წელს ჩატარდება პროფკავშირთა მე-7 სპარტაკიადა ნაკრები გუნდებისათვის სპორტის 18 სახეობაში და ფიზკულტურული კოლექტივებისათვის — 8 სახეობაში. ამ ღონისძიებას წინ უძღვის რესპუბლიკური სპარტაკიადა და მასში წარმატებით გამოსვლისათვის სარაიონო, საქალაქო და საოლქო საბჭოებმა საჭიროა გადახედონ ღონისძიებათა კალენდარს.

განთიადელები კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ამოცანის წინაშე დგანან: მიმდინარე წლის უახლოეს ხანში დაამთავრონ ფიზკულტურული კოლექტივების შექმნა საქართველოს სახალხო მეურნეობის სისტემის ყველა წარმოება-დაწესებულებებთან და იზრუნონ შვიდწლიანი გეგმის ძირითადი მაჩვენებლების დროულად და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

ტ. კიკნაველიძე,
**„განთიადის" ცენტრალური საბჭოს საორგანიზაციო მუშაობისა და კადრების განყოფილების გამგე.**



ქუთაისის „დინამოს" სტადიონთან შეიქმნა ნორჩ ფეხბურთელთა გუნდები, რომლებიც რ. მესხის ხელმძღვანელობით სისტემატურად მეცადინეობენ.
სურათზე: სტადიონთან არსებული I გუნდი.

ფოტო ა. ჩარკვიანისა.

# საქართველოს 10 საუკეთესო ძალოსანი 1960 წლის შედეგების მიხედვით

**მჩატე წონა.** რ. დათიკაშვილი (თბილისი, „კოლმეურნე“)—312,5 (90+100+122,5); ა. ჭოლოკიანი (სოხუმი, „კოლმეურნე“) — 290 (95+85+110); მ. კასრელიშვილი (თბილისი, „განთიადი“) — 282,5 (87,5+85+110); გ. მჭედლიძე (ბათუმი) — 282,5 (87,5+80+115); ა. ნოზაძე (თბილისი, „ლოკომოტივი“) — 250 (85+70+95); დ. მურადოვი (თბილისი, „ლოკომოტივი“) — 240 (75+70+95); ა. მკრტიჩიანი (თბილისი, „კოლმეურნე“) — 240 (72,5+72,5+95); მ. ციცუაშვილი (თბილისი, „კოლმეურნე“) — 237,5 (70+75+92,5); ლ. გოგუაძე (თელავი, „კოლმეურნე“) — 237,5 (75+70+92,5); შ. ყაზაროვი (ახალციხე, „კოლმეურნე“) — 232,5 (70+70+92,5).

**ქვემსუბუქი წონა.** რ. ჩიმიშკიანი (თბილისი, „დინამო“) — 347,5 (105+102,5+140); ა. გრიგორიანი (თბილისი, „კოლმეურნე“) — 335 (102,5+102,5+130); დ. სურმანიძე (ბათუმი) — 327,5 (100+100+127,5); ხ. ხანუკაშვილი (თბილისი, „დინამო“) — 322,5 (100+95+127,5); გ. მკრტიჩიანი (თბილისი, „კოლმეურნე“) — 305 (90+90+125); ა. ამბარიანი (ახალციხე, „კოლმეურნე“) — 305 (95+90+120); ი. წოწოლაშვილი (თბილისი, „განთიადი“) — 302,5 (95+92,5+115); ა. ოსმანოვი (თბილისი, „კოლმეურნე“) — 290 (95+85+110); გ. მჭედლიძე (ბათუმი) — 285 (90+80+115); ი. დონჩენკო (რუსთავი, „განთიადი“) — 275 (85+85+105).

**მსუბუქი წონა.** რ. ჩიმიშკიანი (თბილისი, „დინამო“) — 357,5 (105+107,5+145); დ. ეფრიკიანი (თბილისი, „დინამო“)—355 (112,5+107,5+135); ი. ინჯგია (თბილისი, „განთიადი“) — 352,5 (105+107,5+140); ტ. წერალოვი (თბილისი, „ბურევესტნიკი“) — 347,5 (105+105+137,5); შ. კაცობაშვილი (თბილისი, სკა) — 347,5 (107,5+105+135); ლ. ბაბაიანი (თბილისი, „სპარტაკი“) — 335 (105+90+140); დ. ჯეირანოვი (წალკა, „კოლმეურნე“) 330—(100+100+130); დ. კაციაშვილი (ახალციხე, „კოლმეურნე“) — 330 (110+95+125); გ. კამალოვი (ბათუმი) — 325 (105+90+130); ა. ჩხაიძე (თბილისი, „ბურევესტნიკი“) — 320 (95+100+125).

**ქვესაშუალო წონა.** ვ. რადიმაშვილი (თბილისი, „განთიადი“) — 390 (120+120+150); გ. გალოიანი (თბილისი, სკა) — 382,5 (122,5+115+145); გ. ყოჩიევი (სტალინირი, „კოლმეურნე“) — 375 (117,5+102,5+155); ზ. გოჩიაშვილი (თბილისი, „დინამო“) — 360 (115+110+135); ტ. წერალოვი (თბილისი, „ბურევესტნიკი“) — 340 (112,5+97,5+130); ვ. კიზოგიანი (რუსთავი, „დინამო“) — 337,5 (105+102,5+130); გ. ნარსია (თბილისი, „ბურევესტ.“) — 332,5 (105+102,5+125); პ. კოსტავა (ქუთაისი, „განთიადი“) — 330 (100+100+130); მ. გაფრინდაშვილი (სოხუმი, „კოლმეურნე“) — 330 (100+100+130); ს. ჩაჩანაშვილი (თბილისი, სკა) — 325 (100+95+130).

**საშუალო წონა.** რ. გალოიანი (თბილისი, „სპარტაკი“) — 422,5 (137,5+125+160); დ. მუშკუდიანი (თბილისი, „ბურევესტ.“) — 402,5 (125+122,5+155); ი. ყუბანეიშვილი (თბილისი, „კოლმეურნე“) — 400 (125+117,5+157,5); გ. მიმინოშვილი (თბილისი, „ბურევესტ.“) — 400 (125+117,5+157,5); ზ. პაპიძე (ბათუმი)—392,5 (120+117,5+155); დ. ქათამიძე (მახარაძე, „კოლმეურნე“) — 380 120+115+145); ვ. ერეგიანი (ახალციხე, „კოლმეურნე“) — 370 (115+110+145); ლ. ბურნაპიანი (ტყიბული, „კოლმეურნე“)—345 (110+100+135); გ. აბდუშელიშვილი (სტალინირი, „კოლმეურნე“) — 335 (100+105+130); გ. ნარსია (თბილისი, „ბურევესტ.“ — 332,5 (105+102,5+125).

**ქვემძიმე წონა.** კ. ბაზაძე (თბილისი, „განთიადი“) — 407,5 (125+127,5+155); კ. ებრალიძე (თბილისი, „დინამო“) — 402,5 (120+122,5+160); ზ. ჩოჩიევი (სტალინირი, „კოლმეურნე“) — 395 (125+115+155); ვ. ციხელაშვილი (დმანისი, „კოლმეურნე“) — 390 (120+112,5+157,5); კ. ხატიაშვილი (თბილისი, „კოლმეურნე“) — 380 (120+115+145); ა. ხვედელიძე (თბილისი, „კოლმეურნე“) — 380 (115+115+150); გ. ბალასანიანი (ახალციხე, „კოლმეურნე“) — 345 (105+105+135); ვ. ...ქობაძე (ქუთაისი, „განთიადი“) — 342,5 (107,5+100+135); ა. ...ელიანი (სოხუმი, „განთიადი“) — 340 (105+100+135)); რ. ბასილია (თბილისი, „ბურევესტ.“) — 340 (110+105+125).

**მძიმე წონა.** მ. მინასიანი (თბილისი, სკა) — 432,5 (137,5+137,5+167,5); ვ. ჩილინგაროვი (ახალციხე, „კოლმეურნე“)—410 (130+120+160); გ. კოშაძე (თბილისი, „კოლმეურნე“) — 405 (132,5+112,5+160); გ. სანიკიძე (თბილისი, „განთიადი“) 400 — (125+122,5+152,5); ა. გოგოლაური (რუსთავი, „განთიადი“) — 400 (137,5+110+152,5); ბ. კუჭუხიძე (ქუთაისი, „განთიადი“) — 387,5 (117,5+117,5+152,5); ა. ხოჯოიანი (ახალციხე, „კოლმეურნე“) — 385 (125+110+150); ვ. ერმოლაევი (ბათუმი) — 340 (105+100+135); ე. პიატროვსკი (თბილისი, „ბურევესტ.“) — 335 (105+105+125); ლ. ჭუაძე (თელავი, „კოლმეურნე“) — 322,5 (97,5+97,5+127,5).

# XXII საჭადრაკო ჩემპიონატი

## მეთექვსმეტე ტური

ლიდერებმა ვერ „ასიამოვნეს“ შემატკივრებს. შტეინი და ...ლაევი უკვე მე-17 სვლაზე შეთანხმდნენ ყაიმზე სვლების გამეორებით. მხოლოდ რამდენიმე სვლით მეტი გაკეთდა გუფელდ-გურგენიძის შეხვედრაში, რომელიც აგრეთვე ყაიმზე შეთანხმდნენ. ხოლმოვმა გაჩაღა მძაფრი ბრძოლა კალატოზიშვილთან, რომელმაც უკვე დებიუტში დაუშვა შეცდომა. გროსმაისტერმა შექმნილ ენდშპილში დაჯაბნა ახალგაზრდა მეტოქე და გაიმარჯვა.

კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს ლომაიას თამაში. ძველინდურ დაცვაში ჩიქოვანის წინააღმდეგ მან შავებით მიმართა მ. ტალის საყვარელ სისტემას და მალე დაეუფლა ინიციატივას. ლაზიერის ფრთაზე გარღვევით ლომაიამ მოიგო ხარისხი და მასთან პარტიაც. მწვავედ მიმდინარეობდა მიქაელიან-ბრეიტმანის შეხვედრა. ჰოლანდიურ დაცვაში ბრეიტმანმა „თვალის დახამხამებაში“ თავი მოუყარა მძიმე ფიგურებს მეფეზე საიერიშოდ და კიდეც დაიწყო იერიში. მაგრამ ტყვარჩელელი ორგანიზებულ დაცვას წააწყდა. მან ეტლიც გაიმეტა, მაგრამ ვერაფერს გახდა. უფიგუროდ დარჩენილი ბრეიტმანი მალე შეურიგდა დამარცხებას.

ეგიაშვილს კარგი პოზიცია ჰქონდა ჯანოევთან. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ დაწყებული შეტევა დიდხანს არ „აცოცხლებდა“ შავ მეფეს. მაგრამ ეგიაშვილი სადღაც დაყოვნდა და ჯანოევმა თვითონ დაიწყო თეთრი მეფის შეწუხება. ეგიაშვილმა სავსებით დაკარგა ბრძოლისუნარიანობა და დამარცხდა.

დანარჩენი პარტიები გადაიდო. გაგუას შიშოვთან ზედმეტი პაიკი ჰქონდა, მაგრამ დაბოლოებაში ცუდად ითამაშა. ბლაგიძეს ზედმეტი ხარისხი აქვს გამრეკელთან, ხოლო ბერაძეს პოზიციური უპირატესობა გიორგაძესთან.

✦

## მეჩვიდმეტე ტური

გუშინ, თბილისელი ოსტატი ბუსლაევი შეხვდა ლიდერს — გუფელდს და ყაიმს მიაღწია. ასეთივე შედეგით დამთავრდა შტეინ-ხოლმოვის, გიორგაძე-ჩიქოვანის პარტიები. ბერაძემ დაამარცხა ბლაგიძე. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

# კანადა — მსოფლიო ჩემპიონი

უკანასკნელისწინა ტური ჰოკეისტთა მსოფლიო ჩემპიონატში ...ტიურად მხოლოდ „ვალისმომ...ლი“ შეხვედრების ტური იყო, ...ენადაც ოთხივე მატჩში ლიდერები ხვდებოდნენ ცხრილის ...და ნახევარში მყოფ გუნდებს ...ადვილი გამარჯვებებიც მოიპოვეს მათზე. ამრიგად, დასკვნითი, ...უწყვეტი ტურისათვის გუნდები უცვლელი შანსებით მოვიდნენ. ამ დღეს ერთმანეთს შეხვდნენ ლიდერები: კანადა-საბჭოთა კავშირი და ჩეხოსლოვაკია-შვეცია. ამ ორ მატჩში წყდებოდა არა მარტო მსოფლიოს, არამედ ევროპის ჩემპიონობის ბედიც.

კანადელმა ჰოკეისტებმა დიდი ...ულობით ჩაატარეს თამაშის ...ლი 60 წუთი ჩვენი გუნდის წინააღმდეგ, უპირატესობა მოიპოვეს ...ა რგოლში და დამაჯერებელ გამარჯვებასაც მიაღწიეს—5:1. კანადა გახდა 1961 წლის მსოფლიო ჩემპიონი შაიბიან ჰოკეიში. ჩეხოსლოვაკიის ნაკრებმა საინტერესო ...ლაში ძლია შვეციის გუნდს— ამ გამარჯვებით მან მოიპოვა ევროპის ჩემპიონის ოქროსა და მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის ...ლები.

ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები გადაეცათ საბჭოთა ჰოკეისტებს შესაბამისად ევროპაში მეორე, ხოლო მსოფლიოში მესამე ადგილის დაკავებისათვის. შვეციის ...მა მიიღო ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლები.

...მაშფოთებელ ფაქტს ჰქონდა ...ილი გდრ-სა და გფრ-ს შეხვედრის წინ. დასავლეთ გერმანიის ...ისტებმა პოლიტიკური მოტივით, თავიანთი ხელისუფლების ...ა წაქეზებით უარი განაცხადეს დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდთან შეხვედრაზე. გფრ-ს ...ს მიენიჭა დამარცხება.



როგორც ვიუწყებოდით, ლენტეხის რაიონის სპორტსმენები გაემგზავრნენ მაღალმთიან შორეულ ლაშქრობაში.

**სურათზე:** ლაშქრობის მონაწილენი მარცხნიდან — ს. გუგავა, (ხელმძღვანელი), ა. ონიანი, ნ. ონიანი, ბ. ონიანი, ნ. გუგავა, გ. გუგავა და ფ. ფურელიანი,

ფოტო ს. გუგავასი.

# ზონაში პირველ ადგილზე

დამთავრდა „ბ“ კლასის ფრენბურთელ ვაჟთა ზონალური ტურნირი, რომელშიც წარმატებით გამოვიდა თბილისის სკიფის გუნდი. ჩვენმა ფრენბურთელებმა დასკვნით შეხვედრაში ბაქოს „ნეფტიანიკის“ გუნდთან ადვილად შეძლეს მეტოქის დამარცხება მშრალი ანგარიშით — 3:0, ხოლო ომსკის „ბურევესტნიკთან“ საინტერესო გამოდგა მხოლოდ პირველი პარტია, რომელშიც თბილისელებს ერთგვარი წინააღმდეგობა გაუწიეს ომსკელმა სპორტსმენებმა, მაგრამ დამარცხდნენ ანგარიშით 10:15. სამაგიეროდ, მომდევნო პარტიებში სტუმრებმა ვერაფერი გააწყეს თავგამოდებით მოთამაშე თბილისელი ფრენბურთელების წინააღმდეგ და კვლავ დამარცხდნენ — 3:15, 4:15.

ტურნირში ადგილები განაწილდა შემდეგნაირად: პირველი ადგილი მოიპოვა საქართველოს ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის გუნდმა. მეორე ადგილზეა ოდესის ოფიცერთა სახლის ფრენბურთელები, მესამეზე—მოსკოვის „სპარტაკი“. პირველი ორი გუნდი მონაწილეობას მიიღებს დასკვნით შეხვედრებში.

# უკანასკნელი მატჩები ქვეჯგუფში

გასულ კვირას თბილისის „დინამოს“ კალათბურთელ ვაჟთა გუნდმა ჩაატარა თავისი უკანასკნელი კალენდარული შეხვედრა საკავშირო პირველობაზე. იგი თამაშობდა ბაქოში ადგილობრივი სკიფის წინააღმდეგ.

გუნდები მოედანზე ასეთი შემადგენლობით გამოვიდნენ: თბილისი — მინაშვილი, ლეჟავა, უგრეხელიძე, ინწკირველი, ალტაბაევი. ბაქო — მუხინი, მამედიაროვი, საგოიანი, ოსინი, სერგეევი. მატჩი დაიწყო თბილისელი კალათბურთელების მძაფრი შეტევით. მესამე წუთზე მათ ანგარიშში მიჰყავთ — 4:0. მხოლოდ მე-5 წუთზე ხსნიან ანგარიშს მასპინძლები. მამედიაროვმა შეძლო ერთი საჯარიმო სროლის გამოყენება. ამის შემდეგ ინიციატივა მთლიანად გადადის თბილისელთა მხარეს, რომლებიც გააზრებულად უტევენ ბაქოელთა ფარს. პირველი ნახევრის ანგარიშია 33:18 დინამოელთა სასარგებლოდ.

მეორე ნახევარში ინიციატივა კვლავ თბილისელთა მხარესაა. ისინი უფრო მეტჯერ არიან მოწინააღმდეგის ნახევარზე, სადაც მახვილგონივრული კომბინაციებით მეთოდურად ზრდიან ანგარიშში განსხვავებას. განსაკუთრებით მონდომებით თამაშობს ჯაფარიძე, რომელმაც მეორე ნახევარში ალტაბაევი შეცვალა. 30-ე წუთისათვის ანგარიშია 45:28 დინამოელთა სასარგებლოდ. შემდგომში ერთგვარად გააქტიურდნენ მასპინძლები, რომლებმაც შეძლეს ანგარიშში სხვაობის შემცირება. უნდა ითქვას ისიც, რომ სტუმრებმა თამაშის დამთავრებისას შეასუსტეს იერიშების სიმწვავე, მაგრამ შეხვედრის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო. თბილისის „დინამომ“ მოიპოვა მორიგი გამარჯვება ანგარიშით 72:65.

ამრიგად, თბილისელებმა დაამთავრეს თამაშები ქვეჯგუფში. 7 შეხვედრიდან მათ მოიგეს 5 და ორი მატჩი წააგეს, დააგროვეს ხუთი ქულა და მოიპოვეს ფინალურ ტურნირში მონაწილეობის უფლება. საბჭოთა კავშირის ოქროს მედლებისათვის ბრძოლას ამ ჯგუფიდან გააგრძელებენ აგრეთვე არმიის ცენტრალური სპორტული კლუბის გუნდი და კიევის სკიფი. მეოთხე ფინალისტი ჯერ არ არის გამორკვეული. ამ საპატიო ტიტულზე პრეტენზიას მოსკოვის „დინამო“ და ვილნიუსის „სპარტაკი“ აცხადებენ.



ეროვნული ბიბლიოთეკა





ბათუმში, პიონერთა პარკში მო[...] წყობილი ნიჩბოსანთა სადგურ[...] მუშაობას განაგრძობს.

**სურათზე:** ერთადგილიანი ბა[...]დარებით მეცადინეობენ სპორტ[...] ამ სახეობის მოყვარულნი.

ფოტო ე. სუსუნიკაშვილისა.

△ **დრეზდენი** გრდ-ს ჩემპიონები ფიგურულ სრიალში გახდნენ ქალთა შორის 22 წლის ზაიფერტი, ვაჟებში — ბოკენაუერი, შერეულ წყვილთა შორის — სენფი და გ[...]ბელი.

* * *

△ **პრაღა.** არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში ორკვირიანი მოგზაურობის შემდეგ სამშობლოში დაბრუნდნენ ცნობილი სპორტსმენები დანა და ემილ ზატოპეკები, ისინი არაბთა ქვეყნების სპორტსმენებს უზიარებდნენ თავიანთ გამოცდილებას.

* * *

△ **ბელგრადი.** როგორც ცნობილია ევროპის მოკრივეთა ჩემპიონატი გაიმართება იუგოსლავიის დედაქალაქში. მასში მონაწილეობის სურვილი უკვე გამოთქვა 14 ქვეყნის 152 სპორტსმენმა. შვეციას გამოყავს 2 მოკრივე, ფინეთს — 7, ირლანდიას — 5, ჰოლანდიას — 8, სრული გუნდებით გამოვლენ საბჭოთა კავშირი, გდრ, ინგლისი, საფრანგეთი, საბერძნეთი, იუგოსლავია, ნორვეგია, ავსტრია, რუმინეთი, შვეიცარია, ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი და გფრ.

* * *

△ **ბუდაპეშტი.** უნგრეთისა და გდრ-ს ჩოგბურთელთა ამხანაგური შეხვედრა მოიგეს უნგრელებმა — 7:4, გერმანელები უძლიერესები იყვნენ წყვილთა შეხვედრებში.

* * *

△ **ვენა.** ავსტრიის მოთხილამურეთა ჩემპიონატში თავი ისახელა ახალგაზრდობამ. 30 კმ. მოიგო ა. იარკმა — 2:22.17; 16 კმ-ზე პირველი იყო პ. პერტინგი — 1:07.24. ორჭიდში გაიმარჯვა ვ. კესტინგერმა — 453 ქ.

* * *

△ **ჰანოვერი.** მსოფლიოს XII ჩემპიონატზე ველოკროსში (პროფესიონალები და მოყვარულები გამოდიოდნენ ერთად), კვლავ ისახელა თავი რ. ვოლფსჰოლმა (გფრ), მიუხედავად იმისა, რომ მას ბრძოლა უხდებოდა მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონ ა. დიუფრესთან (საფრანგეთი) 1959 წლის ჩემპიონ რ. ლონგთან (იტალია) და სხვ. გამოჩენილ სპორტსმენებთან მეორედ შეძლო უძლიერესის სახელის მოპოვება.

## დაიწყო მეორე წრე

ხანგრძლივი საზამთრო შესვენების შემდეგ განახლდა უნგრეთის 1960-61 წლების ჩემპიონატი. 14 ტურის შემდეგ შეჯიბრებას ლიდერობს გასული წლის ჩემპიონი „დოჟა" (უიპეშტი), რომელსაც 24 ქულა აქვს. უიპეშტის რამდენიმე მოთამაშე შედის უნგრეთის ნაკრებში (მეკარე ტერეკი, მცველები ვარჰიდი და შოვარი, თავდამსხმელები გერეში და კუხარსკი). ამავე გუნდში თამაშობს უნგრეთის ფეხბურთის ვეტერანი, 38 წლის ცენტრფორვარდი ფერეც სუსა, რომელიც „დიდი გუნდის" ერთ-ერთი თავდამსხმელი იყო. სუსას მაყურებლები იცნობენ კინოფილმითაც — „ახალბედები სტადიონზე".

სატურნირო ცხრილში მეორე-მესამე ადგილებს ინაწილებენ ბუდაპეშტის გუნდები „ვაშაში" და „ფერენცვაროში". მათ 20-20 ქულა აქვთ და საგრძნობლად ჩამორჩნენ ლიდერს. „ვაშაშმა" კიდევ უფრო გაიუარესა მდგომარეობა „დებრეცენთან" დამარცხებით (1:2). ამ გუნდში ხანგრძლივი შესვენების შემდეგ დიდი წარმატებით თამაშობს ცნობილი ცენტრფორვარდი მახოში, რომელიც ბაროტიმ კვლავ დააბრუნა ეროვნულ ნაკრებში. ამჟამად მახოში კონკურენციას უწევს ნაკრების ცენტრალურ თავდამსხმელს ალბერტს. მახოშთან ერთად „ვაშაშის" თავდასხმაში წარმატებით თამაშობს 17 წლის ფარკაში, „ფერენცვაროშს", რომელმაც უკანასკნელ ტურში მოუგო „შალგოტარიანს" (4:1) მეტად ძლიერი შემადგენლობა ჰყავს. აქ თამაშობენ ნაკრების წევრები მატრაი, ალბერტი (№ 9), რაკოში (№ 10) და ტანვეში (№ 11). უფერულად ატარებს შეხვედრებს უნგრეთის ყოფილი ჩემპიონი „ჩეპელი".

## მსოფლიო ჩემპიონი ემზადება

როგორც ჟურნალ „ფუსბალვოხეს" სამხრეთ ამერიკელი კორესპონდენტი ფ. ჰაკი იუწყება, ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციამ, რომელიც კარგახანს ეძებდა ეროვნული ნაკრების მწვრთნელს (არგენტინაში წასულ ვინსენტე ფეოლას ნაცვლად), თავისი არჩევანი შეაჩერა პაულო ამარალზე, აქამდე ფედერაციამ უარყო ფლავიო კოსტას (1950—1954 წლებში წვრთნიდა ეროვნულ ნაკრებს), ბრანდაოს (სან-პაულოს თასის მფლობელ და სამხრეთ ამერიკის ჩემპიონების თასის მეორე გათამაშებაში მონაწილე „პალმეითასის" მწვრთნელი) და სალდანხოს (დიდხანს წვრთნიდა „ბოტოფაგოს") კანდიდატურები.

როგორც ჯერ კიდევ ფეოლას ქონდა განზრახული, მსოფლიოს ჩემპიონატისათვის ემზადება სამი ნაკრები. უფრო მოგვიანებით მოხდება მოთამაშეების „გაცხრილვა" და ერთი, სტაბილური ნაკრების ჩამოყალიბება.

## ბრენდეჯი ამბობს

ამას წინათ ათენში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ე. ბრენდეჯმა, რომელიც მორიგ კონგრესზე ჩამოვიდა, პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ კონგრესზე განხილულ იქნება მოყვარულთა სპორტის საკითხები.

შემდეგ ბრენდეჯმა ილაპარაკა სპორტის მდგომარეობის შესახებ შეერთებულ შტატებში. მან აღნიშნა, რომ აშშ ჩამორჩება სპორტულ მიღწევებში საბჭოთა კავშირს. ეს ბევრით აიხსნება. საბჭოთა კავშირში, — თქვა პრეზიდენტმა, — სპორტში ჩაბმულია 25 მილიონი ადამიანი. ახლა საბჭოთა სპორტის ხელმძღვანელები მუშაობენ იმისათვის, რომ ეს ციფრი 50 მილიონამდე აიყვანონ. ამას ისინი კიდეც მიაღწევენ. ჩვენში არც სავარჯიშო ბანაკებია, არც სახელმწიფო სუბსიდიები, რათა გავაუმჯობესოთ სპორტსმენების მიღწევები.

საბჭოთა კავშირში სპორტის განვითარების ძირითადი დასაყრდენია ახალგაზრდობა, ჩვენთან კი მთავარი ამოცანაა როგორმე მოვგლიჯოთ ახალგაზრდობა ტელევიზორს და მივიზიდოთ სპორტულ მოედნებზე"

## მეფე დარწმუნდა

იორდანიის მეფე ჰუსეინმა გადაწყვიტა ზამთრის თვეები გაეტარებინა ალპებში, საგანგებოდ დაქირავებული სამი მწვრთნელი გულმოდგინედ ასწავლიდა მეფეს თხილამურებით სიარულს.

ვერ ვიტყვით, რომ მწვრთნელები კმაყოფილი იყვნენ თავიანთი ახალი მოწაფით. ერთ-ერთი დაცემის შემდეგ ჰუსეინმა ნაღვლიანად წარმოთქვა: „არასოდეს არ ვიფიქრებდი, თუ თხილამურების მართვა უფრო ძნელი იყო, ვიდრე სახელმწიფოსი".

**ჩვენი გაზეთის მკითხველს თბილისის მე-2 სკოლა ინტერნატის IX კლასელ ბ. კოზაევას აინტერესებს: ვის მიერ და როდის იქნა დამყარებული მსოფლიო რეკორდი შუბის ტყორცნაში, როგორც ქალთა ისე ვაჟთა შორის?**

ქალთა შორის მსოფლიო რეკორდი შუბის ტყორცნაში ეკუთვნის საბჭოთა სპორტსმენს ელვირა ოზოლინას და უდრის 59,55 მ. რეკორდი დამყარებული იქნა 1960 წლის 4 ივნისს ბუქარესტში. ვაჟებში მსოფლიო რეკორდის მფლობელია ალბერტ კანტელო (აშშ). მან სარეკორდო ტყორცნა განახორციელა კომპტონში (აშშ) გამართულ შეჯიბრებაზე, 1959 წლის 5 ივნისს. მაშინ მის მიერ ნატყორცნი შუბი დაეცა 86,04 მეტრზე.

**ფეხბურთის მოყვარულთა დიდმა ჯგუფმა, რომელთა შორის არიან ო. მენაბდე, ბ. მეიფარიანი, ო. ბიბილეიშვილი და სხვანი, რედაქციაში გამოგზავნა წერილი შეკითხვით: როდის დამთავრდება თბილისის „დინამოს" სტადიონის რეკონსტრუქცია, რა ძირეული ცვლილებებია გათვალისწინებული მისი რეკონსტრუქციისას?**

რეკონსტრუქციის შემდეგ „დინამოს" სტადიონის ტევადობა მო[...]მატებს დაახლოებით სამჯერ, შე[...]ცვლება მისი ფასადი, მაყურებელთა მიღებისა და ევაკუაციის გზები, გადაკეთდება ტრიბუნები, შიდა სათავსოები. ესაა მეტად შრომატევადი, დიდი სამუშაო. ამჟამად თბილისის „დინამოს" სტადიონზე მიმდინარეობს პირველი რიგის სამუშაოები.

✧

**სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი ო. ქორიძე გვეკითხება: როდის იქნა შეტანილი პირველად მარათონული რბენა ოლიმპიური თამაშების პროგრამაში. ვინ გახდა პირველი ოლიმპიური ჩემპიონი და რით დააჯილდოვეს იგი?**

საბერძნეთში მარათონის ახლოს 490 წელს ჩვენს ერამდე ბერძენთა ჯარებს ბრძოლა ჰქონდათ ირანელებთან. გამარჯვება ბერძნებს დარჩათ. მათმა სარდალმა მილტიადიმ გამარჯვების მაუწყებლად ათენში გაგზავნა მებრძოლთა შორის საუკეთესო მორბენალი. მან მარათონიდან ათენში შევიდა ყვირილით: „გაიხარეთ! ჩვენ გავიმარჯვეთ!" და ღონემიხდილი იქვე გარდაიცვალა. ამ მორბენალის პატივსაცემად მარათონული რბენა შეიტანეს პირველი ოლიმპიური თამაშების პროგრამაში 1896 წელს. შეჯიბრება გაიმართა მარათონიდან ათენამდე და დისტანცია უდრიდა 40,2 კმ-ს. სტარტზე გამოვიდა [...] სპორტსმენი, რომელთა შორის [...] ბერძენი იყო. ჩემპიონი გახდა ბერძენი მარუზელი ფოსტალიონი სპირონ ლუისი შედეგით 2:58.5[...]

გამარჯვებული მეფემ დააჯილდოვა ბრილიანტებით მოჭედილი ოქროს საათით, ათენის უდიდესი სასტუმროს მეპატრონემ 10 წლით დაუნიშნა უფასო კვება, მიართვა დაფნის გვირგვინი, მისცეს ფულადი ჯილდო და ნაციონალურ გმირად გამოაცხადეს.

**რედაქტორი Ი. ᲣᲑᲣᲚᲐᲕᲐ**

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12, დეპეშებისათვის, თბილისი, „ლელო", ტელეფონები: რედაქტორის—3-89-62, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, გამომშვების — 3-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 03873